

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-1150

2019 წლის 27 ნოემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის №1620-რს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №3 ბრძანება.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი

ლევან დავითაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცული ტერიტორიების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას.
2. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სააგენტოს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.
3. სააგენტო საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
4. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ემბლემა, რომელსაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სააგენტოს თავმჯდომარე, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, ასევე სხვადასხვა სახის ბეჭდები (მათ შორის, ემბლემის გამოსახულებით), შტამპები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. სააგენტოს ბეჭდების და შტამპების აღწერილობას, ნიმუშებსა და გამოყენების წესს ამტკიცებს სააგენტოს თავმჯდომარე.
6. სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6.

მუხლი 2. სააგენტოს საქმიანობის სფერო



1. სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, ცალკეულ შემთხვევებში დაცული ლანდშაფტების, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების, ბიოსფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების (შემდგომში – დაცული ტერიტორიების) სისტემის მართვა.
2. სააგენტოს საქმიანობის დამატებითი სფერო განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 3. სააგენტოს ამოცანები

სააგენტოს ამოცანებია:

- ა) სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების და, შესაბამისად, მათი ადმინისტრაციების მართვა;
- ბ) სხვა ორგანიზაციებთან ერთად დაცული ლანდშაფტების და გამონაკლის შემთხვევებში ბიოსფერული რეზერვატებისა და მსოფლიო მემკვიდრეობის უბნებისა და ბუნების ძეგლების ცალკეული ზონების მართვა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის კონტროლი;
- დ) დაცული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის, მეთვალყურეობის, შენარჩუნების, აღდგენისა და დაცვის ღონისძიებების გატარება;
- ე) დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვის პროცესის წარმართვა და კოორდინაცია;
- ვ) მონიტორინგის და სამეცნიერო კვლევის ორგანიზება, დაკვირვების მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება;
- ზ) დაცული ტერიტორიების ადმინისტრირება და თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- თ) დაცული ტერიტორიებისთვის ფულადი სახსრების მოზიდვის ხელშეწყობა;
- ი) დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საერთაშორისო თანამშრომლობა და მონაწილეობის მიღება შესაბამის პროგრამებში;
- კ) შესაბამისი ფუნქციების მქონე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე საზოგადოებასთან თანამშრომლობა;
- ლ) დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების აღრიცხვის სისტემის შექმნა;
- მ) დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება (საგანმანათლებლო, ტურიზმის, სამეცნიერო და სხვა პროგრამები);
- ნ) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობა და ასეთი საქმიანობის ორგანიზება;
- ო) უწყებათაშორისი თანამშრომლობა დაცული ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებით;
- პ) დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმისა და ტურიზმის განვითარება;
- ჟ) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ქმედებების განხორციელება.

მუხლი 4. სააგენტოს უფლებამოსილება

სააგენტო უფლებამოსილია:

- ა) შეიმუშაოს და განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების თემატური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების მთელი სისტემის ეკოსისტემების ბუნებრივი შემადგენლობის შენარჩუნებასა და აღდგენას;
- ბ) კანონით დადგენილი წესით მოამზადოს პროექტები დაცული ტერიტორიების შექმნისა და დაცული ტერიტორიების ფართობების შეცვლის შესახებ;
- გ) სამინისტროს კოორდინაციით შეიმუშაოს და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ცალკეული სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის, მოვლის, გამრავლების და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;
- დ) კომპეტენციის ფარგლებში და მასზე კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, განახორციელოს წარმომადგენლობა (მათ შორის, სასამართლო ორგანოში);
- ე) განახორციელოს დაცულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღკვეთა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა და შესაბამისი ორგანოებისათვის გადაცემა შემდგომი რეაგირებისათვის;
- ვ) განახორციელოს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების და დაცული ლანდშაფტების მენეჯმენტის გეგმების შემუშავება და მისი მონიტორინგი;
- ზ) განახორციელოს დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებისა და კანონით დაშვებული სხვა საქმიანობის მონიტორინგი და მათ შესრულებაზე დადგენილი წესით ზედამხედველობა;
- თ) განახორციელოს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების,



- აღკვეთილებისა და დაცული ლანდშაფტების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამშენებლო საქმიანობა, კეთილმოწყობის სამუშაოები (ბილიკები, ზღუდეები, თავშესაფრები, გზამკვლევეები და სხვა), ინფრასტრუქტურით და აღჭურვილობით უზრუნველყოფის ღონისძიებები;
- ო) განახორციელოს სახელმწიფო ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში, ბუნების ძეგლებში, აღკვეთილებსა და დაცულ ლანდშაფტებში ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობისა და დაცვის საშუალებების აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებული საქმიანობის ზედამხედველობა;
- კ) განსაზღვროს დაცულ ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების ტარიფები;
- ლ) განახორციელოს დაცული ტერიტორიების ვიზიტორტა მომსახურებისათვის საერთო წესების შემუშავება და მათ შესრულებაზე კონტროლი;
- მ) კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები და დაგეგმილი წესით წარუდგინოს სამინისტროს;
- ნ) სრულყოს მართვის მექანიზმები, შეიმუშაოს და განახორციელოს პროგრამები დაცული ტერიტორიების თანამშრომლების წვრთნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის;
- ო) უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეჟიმების განსაზღვრა, ორგანიზება, ბუნებათსარგებლობის რეჟიმის დაცვა და კონტროლი;
- პ) დაცულ ტერიტორიებზე, იქ სადაც დაშვებულია სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობა და სპეციალური ჭრების ჩატარება, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის (შემდგომში – ტყითსარგებლობის წესი) 27² მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების 1 წლამდე ვადით მინიჭების და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების (მათ შორის, „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) განხორციელების თაობაზე;
- ჟ) დაცულ ტერიტორიებზე, იქ სადაც დაშვებულია სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობა და სპეციალური ჭრების ჩატარება, მიიღოს გადაწყვეტილება ტყითსარგებლობის წესის 27¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ობიექტების ფუნქციონირების, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისათვის საჭირო მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების განხორციელების, აგრეთვე „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვების უფლების მინიჭების თაობაზე;
- რ) კომპეტენციის ფარგლებში შეითანხმოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების შემთხვევაში საკომპენსაციო ან/და შემარბილებელი ღონისძიებები.

მუხლი 5. სააგენტოს ქონება

კანონმდებლობით და ამ დებულებით სააგენტოსათვის განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, სააგენტოს გადაეცემა შესაბამისი ქონება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სააგენტოს დაფინანსება

სააგენტოს დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი თანხები;
- ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებით მიღებული შემოსავალი;
- გ) ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი;
- დ) საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქველმოქმედო ფონდების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობანი;
- ე) დაცულ ტერიტორიაზე დაშვებული კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობებით მიღებული შემოსავლები;
- ვ) არასაბიუჯეტო სახსრებით დამზადებული სუვენირების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;
- ზ) „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 2¹-2⁵ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფორმით სარგებლობაში გადაცემით მიღებული შემოსავლები;
- თ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ (სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობების დროს)



- დაცული ტერიტორიის სახელწოდების ან სიმბოლიკის გამოყენებით მიღებული შემოსავლები;
- ი) დაცული ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხეტყის დამზადებისას ერთი კუბური მეტრი მერქნის მოპოვებისათვის გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავლები;
- კ) დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული მომსახურების გაწევით და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ქონების გადაცემით მიღებული შემოსავლები;
- ლ) გრანტები და სპეციალური დანიშნულების ტყითსარგებლობის შედეგად მიღებული საკომპენსაციო თანხები;
- მ) კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 7. სააგენტოს საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. სააგენტო, სამინისტროს თანხმობით, უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ბ) სესხის აღება;
- გ) თავდებობა;
- დ) ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;
- ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;
- ვ) სხვა გადაწყვეტილებები სააგენტოს ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

მუხლი 8. სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.
2. სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სააგენტოს არამართლზომიერი გადაწყვეტილება.
3. სააგენტო ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე სამინისტროს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია.

მუხლი 9. საბუღალტრო ანგარიშგება

სააგენტო ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

მუხლი 10. სააგენტოს მართვა და წარმომადგენლობა

1. სააგენტოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).
2. სააგენტოს თავმჯდომარე:
- ა) წარმოადგენს სააგენტოს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას;
- ბ) განკარგავს სააგენტოს სახსრებს და კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე მათი მიზნობრივი გამოყენებისათვის;
- გ) პასუხისმგებელია სააგენტოს საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების შესრულებაზე და ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე;
- დ) მინისტრს წარუდგენს წინადადებებს სააგენტოს საქმიანობის სფეროს რეგულირების შესახებ;
- ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ვ) ამ დებულების მე-11 მუხლით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ვაკანტური თანამდებობის არსებობის შემთხვევაში, უფლებამოსილია დააკისროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელის მოვალეობების შესრულება იმავე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელს და მისცეს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო;
- ზ) სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვრავს სააგენტოს საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს;
- თ) განსაზღვრავს/გამოიყენებს სააგენტოს ცენტრალური აპარატის და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლების დისციპლინური პასუხისმგებლობის და წახალისების ზომებს,



- ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული დანამატის ოდენობას;
- ი) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
- კ) აუქმებს სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ხელმძღვანელების არამართლებრივ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
- ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამყარებს კონტაქტებს და დებს ხელშეკრულებებს სააგენტოს საქმიანობის სფეროში შემავალ საკითხებზე;
- მ) განსაზღვრავს სააგენტოს სამოქმედო გეგმას და პრიორიტეტებს;
- ნ) კონტროლს უწევს სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების და სააგენტოს ცენტრალურ აპარატში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას. ორგანიზებას უწევს მათ მჭიდრო თანამშრომლობას და შეთანხმებულ ქმედებას;
- ო) ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს;
- პ) ამტკიცებს სააგენტოს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებს;
- ჟ) ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც მას ეკისრება ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით.

3. სააგენტოს თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე, რომელთა შორის უფლება-მოვალეობებს ანაწილებს თავმჯდომარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 მარტის ბრძანება №2-256- ვებგვერდი, 02.03.2021წ.

მუხლი 11. სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა

სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები:

- ა) ადმინისტრაციული სამსახური;
- ბ) დაგეგმვისა და განვითარების სამსახური;
- გ) მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- დ) იურიდიული სამსახური;
- ე) ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური;
- ვ) ინსპექტირების სამსახური;
- ზ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური;
- თ) საფინანსო სამსახური;
- ი) სახელმწიფო შესყიდვების სამსახური.

მუხლი 12. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები

1. ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციებია:

- ა) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო:
 - ა.ა) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება და დაგეგმვა;
 - ა.ბ) ადამიანური რესურსების მართვა და ადმინისტრირება;
 - ა.გ) სააგენტოს საჭიროებების შესაბამისად, სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის შერჩევა, განვითარება და შენარჩუნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - ა.დ) სააგენტოს ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა;
 - ა.ე) უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტოს მოსამსახურეთა დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების (გადაყვანის), გათავისუფლების, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების და შვებულების ბრძანებების პროექტების მომზადება;
 - ა.ვ) სააგენტოს მოსამსახურეთა პირადი საქმეების შედგენა და წარმოება;
 - ა.ზ) სააგენტოს მოსამსახურეთა პროფესიულ მომზადებასთან და გადამზადებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება;
 - ა.თ) მოსამსახურეთა სამუშაო აღწერილობების მომზადება/განახლება, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობებისა და სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმების დადგენა;
 - ა.ი) მოსამსახურეთა სტაბილურობის, მოძრაობის და დენადობის თაობაზე სტატისტიკური მონაცემების შემუშავება, პერიოდული ანალიზი, შეფასება;
 - ა.კ) სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია/უზრუნველყოფა;
 - ა.ლ) სამმართველოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება;
 - ა.მ) შრომის შინაგანაწესის შემუშავება;
 - ა.ნ) სამსახურებრივი ცნობების მომზადება სამუშაო ადგილის და ხელფასის შესახებ;
 - ა.ო) სააგენტოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ორგანიზება და საერთო კოორდინაცია, შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაცია, საქმისწარმოებისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა და კონტროლი;



ა.პ) სააგენტოს არქივის მართვა;

ა.ჟ) საქმისწარმოების საკითხებზე შესაბამისი დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა;

ა.რ) დოკუმენტებზე მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა;

ა.ს) სააგენტოს საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება, საქმეთა შენახვისა და ჩამოწერის ორგანიზება;

ა.ტ) დადგენილი წესის შესაბამისად წარმოებადამთავრებული საქმეების მიღება, აღრიცხვა და შენახვა;

ა.უ) კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილებებისა და სააგენტოს ხელმძღვანელობის შესაბამისი დავალებების განხორციელება.

ბ) შრომის უსაფრთხოებისა და ტერიტორიულ ადმინისტრაციებთან ურთიერთობის (კოორდინაციის) სამმართველო:

ბ.ა) სააგენტოს სპეციფიკის და საჭიროებების გათვალისწინებით იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, დანერგვა და კონტროლი, რომელიც უკავშირდება სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას;

ბ.ბ) უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ადმინისტრაციების მონიტორინგი, შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა, რეკომენდაციების გაცემა და უზრუნველყოფა კომპეტენციის ფარგლებში;

ბ.გ) სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების საქმიანობის საერთო კოორდინაცია;

ბ.დ) სააგენტოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების დავალებებისა და ცალკეული მითითებების ტერიტორიულ ადმინისტრაციის დირექტორებამდე და ცალკეულ პასუხისმგებელ პირებამდე დაყვანა და დროულ შესრულებაზე კონტროლი;

ბ.ე) ტერიტორიულ ადმინისტრაციებთან პერიოდულად სამუშაო შეხვედრების მოწყობა;

ბ.ვ) კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა;

ბ.ზ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის სპეციალისტებთან ერთად, დაცულ ტერიტორიებზე შექმნილი საგანგებო სიტუაციების ანალიზი, ინფორმაციის მიღება და ხელმძღვანელობისადმი წარდგენა;

ბ.თ) დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია;

ბ.ი) სააგენტოს თავმჯდომარის მოთხოვნით ნებისმიერ დროს ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება;

ბ.კ) ტერიტორიული ადმინისტრაციების სხვადასხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური და სხვა საჭიროებების თაობაზე ინფორმაციის მიღება, დამუშავება და სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაციის გზით საკითხის დროული და ოპერატიული გადაწყვეტისათვის ხელშეწყობა;

ბ.ლ) სააგენტოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ცალკეული მითითებების შესრულება.

გ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო:

გ.ა) სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

გ.ბ) მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციისა და ინვენტარიზაციის შედეგების საფუძველზე, ლოჯისტიკური ვითარების დადგენა, რეაგირება და შესაბამისი მონიტორინგის განხორციელება;

გ.გ) საავტომობილო ტრასპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის ორგანიზება და კონტროლი;

გ.დ) მატერიალური ფასეულობების მოთხოვნილებების ანალიზი და დროული რეაგირება;

გ.ე) სააგენტოს ბალანსზე მყოფი შენობა-ნაგებობების მდგომარეობის მონიტორინგი, მათი მართვისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

გ.ვ) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულების კოორდინაცია;

გ.ზ) სააგენტოს ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

გ.თ) სააგენტოს მომარაგების უზრუნველყოფა საკომუნიკაციო საშუალებებით და ენერგორესურსებით, მათი აღრიცხვა, ხარჯვაზე კონტროლი და ეფექტური გამოყენება;

გ.ი) სააგენტოს ნაგებობების საექსპლუატაციო მომსახურება კომპეტენციის ფარგლებში;

გ.კ) სააგენტოში სამსახურებრივ-საშტატო იარაღის და საბრძოლო მასალის აღრიცხვის და ბრუნვის ორგანიზება.

2. დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის ფუნქციები:

ა) დაცული ტერიტორიების სისტემის მართვა და მართვაში მონაწილეობა;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების



- მეგლების, აღკვეთილების და დაცული ლანდშაფტის ბუნებრივი რესურსების მართვა;
- გ) სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით დაცული ტერიტორიების შესაბამისი რეჟიმის დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ზედამხედველობა და მონიტორინგი;
- დ) დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების, ამ გეგმებით განსაზღვრული ან/და დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პროგრამების შემუშავებასა და შესრულებაში მონაწილეობა და კოორდინაცია;
- ე) კომპეტენციის ფარგლებში მენეჯმენტის გეგმებთან დაკავშირებული პროგრამების შეფასება, ანალიზი და მათ საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;
- ვ) კომპეტენციის ფარგლებში დაცულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის და ლანდშაფტების დაგეგმვის კოორდინაცია;
- ზ) სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების და დაცული ლანდშაფტის დამხმარე ზონების ეკოლოგიური და სოციალური პროგრამების დაგეგმვაში მონაწილეობა და კოორდინაცია;
- თ) დაცულ ტერიტორიებზე მეცნიერული კვლევისა და მონიტორინგის საქმიანობის ზედამხედველობა;
- ი) სამეცნიერო კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების მიზნობრივი დამუშავება, მათ საფუძველზე დაცულ ტერიტორიებზე არსებული ეკოსისტემის და ცალკეული სახეობების აღდგენის, შენარჩუნებისა და კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავება;
- კ) კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების საქმიანობის ამსახველი მონაცემების განხილვა, მათი შეფასება და გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;
- ლ) დაცულ ტერიტორიებზე ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება;
- მ) დაცული ტერიტორიების განვითარების მიზნობრივი პროგრამების შეიმუშავება და განხორციელება;
- ნ) ცხოველთა და მცენარეთა (მათ შორის, ტყის რესურსების), სახეობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, აღდგენა-განახლების, ხანძრების პრევენციის, მავნებელთა და დაავადებების დაცვის მიზნით წინადადებებისა და მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;
- ო) ეკოტურიზმის განვითარება და მისი მონიტორინგი დაცულ ტერიტორიებზე;
- პ) სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად დაცულ ტერიტორიაზე ტურისტების მომსახურების ტარიფების შემუშავება;
- ჟ) დაცული ტერიტორიების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) მონაცემთა ბაზების წარმოება;
- რ) სააგენტოს გეოსაინფორმაციო, ქსელური სისტემებით და რუკებით უზრუნველყოფა;
- ს) დაცული ტერიტორიების საზღვრების დაზუსტების, მარკირების და შესაბამისი ტოპოგრაფიული მასალების შემუშავების ზედამხედველობა;
- ტ) დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

3. მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციებია:

- ა) სააგენტოში და სააგენტოს ტერიტორიულ ადმინისტრაციებში მიმდინარე პროცესებისა და გაწეული საქმიანობის გაცნობა საზოგადოებისთვის მასმედიის საშუალებით;
- ბ) სააგენტოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების დამყარება და საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინაცია;
- გ) საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალის წარმოჩენის და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოწყობილ გამოფენებზე და ბაზრობებზე სააგენტოს მონაწილეობის ორგანიზება;
- დ) უცხოელი და ადგილობრივი ჟურნალისტებისა და ტუროპერატორებისათვის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციებისათვის დაცულ ტერიტორიებზე პრესტურებისა და გაცნობითი ტურების მოწყობა;
- ე) საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული ბრენდის შემუშავება და განვითარება;
- ვ) საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალის წარმოჩენის და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ პრეზენტაციების და პრესკონფერენციების ორგანიზება;
- ზ) დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმთან დაკავშირებული სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის (ბეჭდვითი, ვიდეო, ციფრული და ა.შ) მომზადება და გავრცელება;
- თ) დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული ადგილების რეკლამირების ხელშეწყობა ადგილობრივ ბაზარზე და მათი ეფექტიანი პოზიციონირება საერთაშორისო ბაზრებზე;
- ი) დაცული ტერიტორიების განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში;
- კ) სააგენტოს ვებგვერდის ადმინისტრირება და სააგენტოს პოპულარიზაცია სოციალურ ქსელებში;



- ლ) საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმების შედგენა;
- მ) სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურთან ერთად დაცულ ტერიტორიაზე ტურისტების მომსახურების ტარიფების შემუშავება;
- ნ) საჯარო ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ო) ამ დებულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

4. იურიდიული სამსახურის ფუნქციებია:

- ა) სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ბ) სააგენტოს საქმიანობასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება ან/და მონაწილეობა მათ შემუშავებაში;
- გ) კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოში სხვადასხვა უწყებიდან შემოსული ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების განიხილვა და სამართლებრივი ექსპერტიზა;
- დ) სასამართლო ორგანოებში სააგენტოს წარმომადგენლობა;
- ე) „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 2¹-2⁵ პუნქტებითა და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტს „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში სააგენტოს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ფორმებით განკარგვისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება და შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება;
- ვ) სააგენტოს თანამშრომელთა სამართლებრივი კონსულტაცია სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით;
- ზ) ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

5. ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის ფუნქციებია:

- ა) სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვასთან დაკავშირებულ პროცედურებში, ტექნიკური დავალებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების მომზადებასა და სატენდერო კომისიისათვის წარდგენაში მონაწილეობა;
- ბ) სააგენტოს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობა;
- გ) სამშენებლო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებთან და ღირებულებებთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება და სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;
- დ) საჭიროებიდან გამომდინარე სააგენტოს მიერ სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (დეფექტური აქტი) მომზადება;
- ე) სააგენტოს ბალანსზე რიცხული, სარგებლობაში არსებული, ასევე სააგენტოს დაკვეთით წარმოებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ზედამხედველობა და შესრულების ხარისხის კონტროლი, თუ შესაბამისი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- ვ) ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსრულებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობის განსაზღვრა, რამდენად შეესაბამება შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას და სხვა შესაბამის აქტებს;
- ზ) ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებთან მიმართებაში შეუსაბამობის დოკუმენტალურად დასაბუთება;
- თ) ხარისხის, ღირებულებისა და სამუშაოს მოცულობების განსაზღვრა-დადგენის დროს, როდესაც შეუძლებელია საექსპერტო დაწესებულების დასკვნის გარეშე ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის განსაზღვრა, საექსპერტო დაწესებულებისათვის მიმართვა;
- ი) კომპეტენციის ფარგლებში დაცულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის და ლანდშაფტების დაგეგმვის კოორდინაცია;
- კ) ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

6. ინსპექტირების სამსახურის ფუნქციებია:

- ა) კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;
- ბ) სააგენტოს ცენტრალური აპარატის და ტერიტორიული ადმინისტრაციების მოსამსახურეთა მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტების გამოვლენა, და აღნიშნულ ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმება;



- გ) სააგენტოს ცენტრალური აპარატის და ტერიტორიული ადმინისტრაციების საქმიანობაში მოსალოდნელი დარღვევების ან/და სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია ან/და მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი;
- დ) სააგენტოს ცენტრალური აპარატის და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლების მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, ამ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება;
- ე) სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა, რეკომენდაციების შემუშავება და სააგენტოს თავმჯდომარისთვის წარდგენა;
- ვ) სააგენტოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, საკითხის შესწავლის მიზნით, სააგენტოს ნებისმიერი რანგის თანამშრომელთან გასაუბრება შესაბამისი ინფორმაციის ან ახსნა-განმარტების მიღების მიზნით;
- ზ) სააგენტოს ცენტრალური აპარატის და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით სააგენტოს ხელმძღვანელისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
- თ) სააგენტოს ცენტრალური აპარატის და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, მათ მიერ სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლი და ზედამხედველობა;
- ი) საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, კანონიერების დაცვის სფეროში საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება;
- კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დაცულ ტერიტორიებზე ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსთვის მიწოდება;
- ლ) ამ დებულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

7. საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის ფუნქციები:

- ა) დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების კოორდინაცია და ზედამხედველობა;
- ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და თანამშრომლობის კოორდინაცია;
- გ) საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინაცია და თანამშრომლობა;
- დ) ტრანსსასაზღვრო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- ე) სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების და დაცული ლანდშაფტის დამხმარე ზონებში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ეკოლოგიური და სოციალური პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა და მათი მიმდინარეობის კოორდინაცია;
- ვ) საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან ფინანსების მოზიდვა დაცულ ტერიტორიებზე პროექტების განსახორციელებლად;
- ზ) დაცული ტერიტორიების გასაცნობად, სხვადასხვა სპეციალისტებისა და საერთაშორისო ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების მოწვევა შემდგომში ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით;
- თ) საერთაშორისო ღონისძიებების და კონფერენციების ორგანიზება/მონაწილეობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;
- ი) დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ სხვა პროგრამებში მონაწილეობის მიღება;
- კ) მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისთვის საერთაშორისო წყაროებით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის, პროექტების ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- ლ) ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

8. საფინანსო სამსახურის ფუნქციები:

- ა) სააგენტოს საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა;
- ბ) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება;
- გ) საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის ანალიზი;



- დ) სააგენტოს ბიუჯეტის პროექტების შემუშავება და წარდგენა;
- ე) ბიუჯეტის შესრულების შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება და მათი წარდგენა;
- ვ) სააგენტოს ტერიტორიულ ადმინისტრაციებში საბუღალტრო საქმიანობის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირების მეთოდური ხელმძღვანელობა;
- ზ) ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

9. სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ფუნქციებია:

- ა) სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავება და მასში ცვლილებების განხორციელება;
- ბ) სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;
- გ) სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, ტენდერის გამოცხადება, მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადება და დადებული ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი;
- დ) სააგენტოს მიერ განხორციელებული შესყიდვების ანალიზი;
- ე) ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №2-1174 - ვებგვერდი, 04.12.2019წ.

მუხლი 13. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობა

- 1. სააგენტოს სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს უფროსი.
- 2 სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი:
 - ა) ასრულებს სააგენტოს თავმჯდომარისა და კურატორი თავმჯდომარის მოადგილის დავალებებს;
 - ბ) იღებს გადაწყვეტილებებს სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
 - გ) ანაწილებს ფუნქციებს სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლებს შორის შესაბამისი კომპეტენციის მიხედვით;
 - დ) შეიმუშავებს წინადადებებს სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომელთა წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ;
 - ე) მოქმედებს სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით სააგენტოს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, აგრეთვე სხვა ორგანოებთან და პირებთან ურთიერთობისას.
- 3. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი ანგარიშვალდებულია კურატორი თავმჯდომარის მოადგილის და თავმჯდომარის წინაშე.
- 4. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსს შესაძებელია ჰყავდეს მოადგილე, რომელიც ხელს უწყობს სამსახურის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში.

მუხლი 14. საკონსულტაციო საბჭო

- 1. დაცული ტერიტორიების მართვაში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდის მიზნით იქმნება საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო), რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს თავმჯდომარე;
- 2. საბჭო შედგება არანაკლებ 6 წევრისაგან;
- 3. საბჭო ხელს უწყობს მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩართულობას დაცული ტერიტორიების პრობლემატიკის სრულფასოვან განხილვაში, დაცული ტერიტორიების ინტეგრალური მართვის პროცესში და ამ მიზნით სააგენტოს უწევს მეთოდოლოგიურ დახმარებას, კონსულტაციას და აძლევს რეკომენდაციებს.
- 4. საბჭოს რეკომენდაციები მიიღება საბჭოს სხდომებზე, რომელიც იმართება საჭიროებიდან გამომდინარე ან სააგენტოს თავმჯდომარის მოთხოვნით.
- 5. გამონაკლის შემთხვევაში საბჭო შეიძლება რიგგარეშედ შეიკრიბოს სააგენტოს თავმჯდომარის ან საბჭოს შემადგენლობის ნახევრის მოთხოვნით.
- 6. ყოველ სხდომაზე საბჭო ირჩევს სხდომის მდივანს, რომელიც ადგენს საბჭოს სხდომის ოქმს.

მუხლი 15. სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციები

- 1. სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციებია:
 - ა) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
 - ბ) ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
 - გ) ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
 - დ) რიწის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
 - ე) ფსხუ-გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
 - ვ) მარიამიჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
 - ზ) ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;



- თ) ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ი) კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- კ) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ლ) მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- მ) თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ნ) თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ო) ბაწარა-ბაზანეულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- პ) ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ჟ) ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- რ) კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ს) ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ტ) ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- უ) აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაცია;
- ფ) ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია;
- ქ) მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ღ) ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ყ) მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია;
- შ) ერუშეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია.

2. სააგენტოს ტერიტორიულ ადმინისტრაციას ჰყავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 მარტის ბრძანება №2-256- ვებგვერდი, 02.03.2021წ.

მუხლი 16. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სააგენტოს რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

